K 544
2

7.544
2
№ 13950

ფასი 10 კაპ.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით

საბჭოთა კავშირში მშრომელ ეგრალელთა
მიწათმოქმედი საკავშირო საზოგადოება
(„მემმს“-ი)

რა არის მემმს-ი

ბიბლიოთეკა
ტფილისი

საქართველოს მემმს-ი

ტფილისი 1931 წ.

2/215

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპეც-2000
შემოწმებულია

ა. ფ. მიასნიკოვის სახელობის სტამბა გამ-ბა „ზარია ვოსტოკა"-სი

შეკვ. № 1799. მთავლიტი № 1286 ტირაჟი 3000

13.950a 325.356(=924)(47-4
17.544
2

მშრომელ ებრაელთა მდგომარეობა მეფის დროს.

მეფის მთავრობა—კაპიტალისტების და მემამულეების მთავარობა, ჩაგრავდა ყოფილი რუსეთის იმპერიის ყველა ეროვნების მშრომელებს. განსაკუთრებით სდევნიდა იგი ეროვნულ უმცირესობათა მშრომელებს: უკრაინელებს, ბელორუსებს, პოლონელებს, სომხებს, ებრაელებს და სხ.

ეროვნულ უმცირესობიდან უფრო სასტიკ ჩაგვრას განიცდიდენ მეფის დროს მშრომელი ებრაელები. მათ ყოველნაირად ავიწროვებდა და ზღუდავდა მეფის მთავრობა.

მეფის მთავრობამ ებრაელებისათვის შემოიღო ეგრეთწოდებული „ბინადრობის ფარგალი", ე. ი. მათ საცხოვრებლად გამოჰყო მრეწველობის მხრით ჩამორჩენილი რამდენიმე რაიონი, სადაც ებრაელებს გასაქანი არ ქონდათ და იძულებული იყვნენ ღატაკურად და ნახევრად მშივრად ეცხოვრათ. ამ „ფარგალს" იქეთ ებრაელებს, გარდა ფაბრიკანტებისა, ვაჭრებისა და ზოგიერთი სხვა პრივილეგიური ჯგუფისა, უფლება არ ჰქონდათ ეცხოვრათ, თუნდაც დროებით. „ბინადრობის ფარგალშიაც" ებრაელებს არ შეეძლოთ ეცხოვრათ სოფლად. ფაბრიკა-ქარხნებსა და სოფლის მეურნეობაში ხომ მათ თითქმის სრულიად აკრძალული ჰქონდათ მუშაობა. ამ მხეცური ნაციონალური პოლიტიკის მეოხებით ებრაელი მასების ეკონომიური ცხოვრება სრულიად დამახინჯებული

იყო. სამრეწველო მხრით ჩამორჩენილ „ბინადრობის ფარგალში“ მომწყვდეული ებრაელი მასები იძულებული იყვნენ შესდგომოდენ, უმთავრესად, ვაჭრობას—მეტწილად წვრილ ვაჭრობას, შუამავლობას და შინამრეწველობას. სტატისტიკური ცნობებით, მეფის დროს ებრაელთა მოსახლეობის 35 პროც.-ს შეადგენდენ ვაჭრები, უმთავრესად წვრილი ვაჭრები, 23 პროც. შინამრეწველები და ხელოსნები, 19 პროც. დეკლასიური ელემენტები; მუშა-მოსამსახურეები (ერთად)—26 პროც., გლეხები კი—2 პროც. ამ ციფრების მთელი მნიშვნელობის გასაგებად საკმარისია აღვნიშნოთ, რომ ებრაელი მასების მეზობლად მცხოვრებ არაებრაელ მოსახლეობაში ვაჭრები და შინამრეწველები სულ შეადგენდენ 12,2 პროც., ე. ი. თითქმის ხუთჯერ ნაკლებს.

ებრაელი მასების ეკონომიური მდგომარეობა რევოლიუციის შემდეგ.

იმპერიალისტურმა ომმა ძლიერ შეარყია ეს არანორმალური ეკონომიური სტრუქტურაც. მეფის მთავრობამ ღარიბ ებრაელთა საგრძნობი მასები ძალით გადაასახლა პოლონეთიდან, უკრაინიდან, ლიტვიდან, ბელორუსიიდან და ლატვიიდან. უკრაინასა და ბელორუსიაში თეთრგვარდიელთა ბანდებმა ააწიოკეს და გაჟლიტეს ებრაელები: მოკლული იქმნა 200 000-მდე ებრაელი და 300.000 მეტი ობოლი დარჩა. ამის გამო ღარიბი ებრაელები მეტად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდენ.

ოქტომბრის რევოლიუციამ ბოლო მოუღო მშრომელ ებრაელთა პოლიტიკურ უუფლებობას—ისინი უფლებრივად გაუთანასწორდენ ყველა მშრომელებს. საბჭოთა ხელისუფლებამ მიიღო ზომები ღარიბ ებრაელთა

ეკონომიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ჯერ კიდევ 1918 წელს რ. კ. პ. (ბ) ებრაულმა სექციებმა და ებრაელების საქმეთა კომისარიატმა, რომელიც ეროვნებათა სახალხო კომისარიატთან არსებობდა, მთელი რიგი ღონისძიებანი დასახეს იმისათვის, რომ ღარიბი ებრაელები შედგომოდენ მიწათმოქმედებას. მშრომელ ებრაელების ჩაბმას სოფლის მეურნეობაში დიდ მნიშვნელობას აძლევდა ამხ. ლენინი. რ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა, ებრაელების საქმეთა კომისრის—ამხ. დიმანშტეინის მოხსენების გამო, „სასურველად სცნო ზომების მიღება ებრაელ მოსახლეობის მიწათმოქმედებაზე გადასვლის წასაქეზებლად“. მაგრამ სამოქალაქო ომმა და ებრაელებით დასახლებულ რაიონების ხელიდან ხელში გადასვლამ შეაფერხა ამ მუშაობის გაჩაღება.

1922 წლიდან ებრაელი გლეხები უბრუნდებიან თეთრგვარდიელთა ბანდების მიერ ნახევრად-დანგრეულ ძველ ებრაულ კოლონიებს უკრაინის სამხრეთ ნაწილში; ძლიერდება ღარიბ ებრაელთა ახალი მასების გადასვლა მიწათმოქმედემაზე. მაგრამ ამ მოძრაობას სტიქიური ხასიათი აქვს. იგი მოკლებულია გეგმიან ხელმძღვანელობას, ამიტომ საგრძნობ შედეგებსაც არ იძლევა. ამავე დროს კოოპერაციის და სახელმწიფო ვაჭრობის განვითარება ძირს უთხრის წვრილი ებრაელი ვაჭრების არსებობის წყაროს. ებრაელ შინამრეწველთა საგრძნობი ნაწილი მუშაობს დეფიციტური ნედლეულით, მათ თითქმის არ მოეპოებათ მოწყობილობა, ამასთან ბევრს დაბალი კვალიფიკაცია აქვს. სახელმწიფო მრეწველობა, რომელიც სწრაფად ვითარდება, სდვნის მათ ბაზრიდან. ახალგაზრდობა თანდათანობით სტოვებს თავის კერას და რაიმე სამუშაოს საძებრად დიდი ქალაქებისაკენ მიეშურება. მაგრამ

ახალგაზრდობის ის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც დაბებში რჩება, მოკლებულია თითქმის ყოველგვარ შესაძლებლობას გადავიდეს ნაყოფიერ შრომაზე.

როგორ უნდა დავხმარებოდით ღარიბ ებრაელებს, როგორ უნდა გადაგვეყვანა მშრომელი მასები ნაყოფიერ შრომაზე და დაგვეყენებია სოციალიზმის მშენებლობის გზაზე? მაშინ ხომ—6-7 წლის წინად, აღდგენითი პერიოდის დასაწყისში, არ იყო შესაძლებლობა ერთბაშათ აგვეშენებია იმდენი ფაბრიკა-ქარხანა, რომ ყველას ემუშავებია იქ, ვისაც მუშაობა სჭირდებოდა.

საბჭოთა მთავრობას ღარიბი ებრაელები გადაჰყავს მიწათმოქმედებაზე.

1924 წლის 29 აგვისტოს საკავშირო ცაკის პრეზიდიუმმა დაადგინა მოეწყოს ეროვნებათა საბჭოსთან მშრომელ ებრაელთა მიწათმომწყობი კომიტეტი. კომიტეტი მოეწყო საკავშარო ცაკის პრეზიდიუმის წევრის—ამხ. სმიდოვიჩის თავმჯდომარეობით. მშრომელ ებრაელთა მიწათმომწყობ კომიტეტს დაევალა ზომების მიღება ღარიბ ებრაელთა გეგმიანი გადაყვანისათვის მიწათმოქმედებაზე. კიდევ უფრო ადრე უკრაინის და ბელორუსიის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტებმა დაადგინეს—შეუწყონ ხელი ღარიბ ებრაელების გადასვლას სამიწათმოქმედო შრომაზე და მშრომელ ებრაელთა მიწათმომწყობ საკავშირო კომიტეტის შექმნის შემდეგ მოაწყვეს ასეთივე რესპუბლიკანური კომიტეტები. შემდეგში მშრომელ ებრაელთა მიწათმომწყობი კომიტეტები მოეწყო უზბეკისტანის ცაკთან და ავტონომიური რესპუბლიკების მთელ რიგ ცაკებთან და საოლქო და საგუბერნიო აღმასკომებთან.

მშრომელ ებრაელთა მოწათმომწყობი კომიტეტი საქართველოს ცაკთან მოწყო შედარებით უფრო გვიან —1928 წლის დასაწყისში.

ღარიბ ებრაელთა მიწათმოწყობა მოითხოვდა დიდი ძალების მოკრებას და განსაკუთრებული მეთოდების გამოყენებას, რადგან ებრაელთა მასები, ზემოღნიშნულ მიზეზების გამო (იმ პოლიტიკის მეოხებით, რომელსაც ატარებდა მეფის მთავრობა მათ მიმართ) წინად არასოდეს არ მისდევდენ მიწათმოქმედებას. ამ უმნიშვნელოვანესი ღონისძიებების განსახორციელებლად საბჭოთა მთავრობას მიეშველა საბჭოთა საზოგადოებრივობა, რომელმაც 1925 წლის იანვარში მოაწყო საბჭოთა კავშირში მშრომელ ებრაელთა მიწათმომწყობი საზოგადოება—„მემმს"-ი.

მშრომელ ებრაელთა მიწათმომწყობი კომიტეტის და მშრომელ ებრაელთა მიწათმომწყობი საზოგადოების შექმნის შემდეგ მუშაობა ღარიბ ებრაელის ჩასაბმელად სოფლის მეურნეობაში სწრაფად ჩაღდება. საკავშირო ცაკის პრეზიდიუმმა მოიწონა მშრომელ ებრაელთა მიწათმომწყობი კომიტეტის გეგმა სოფლის მეურნეობაში 100 ათასი ღარიბი ებრაელის ოჯახის ჩაბმის შესახებ და სცნო, რომ ამას მოითხოვს როგორც საერთო სახელმწოებრივი ინტერესები, ისე მშრომელ ებრაელთა ინტერესებიც.

მშრომელ ებრაელთა მიწათმომწყობი კომიტეტის და მშრომელ ებრაელთა მიწათმომწყობი საზოგადოების მუშაობის შედეგები.

თავისი მოღვაწეობის დასაწყისში მშრომელ ებრაელთა მიწათმომწყობმა კომიტეტმა მიწათმომწყობი საზოგადოების დახმარებით ჩაატარა ებრაელთა დაბების

მოსახლეობის ორი რეგისტრაცია იმ მიზნით, რომ გამოერკვია სამიწათმოქმედო შრომაზე გადასვლის მსურველთა რაოდენობა. რეგისტრაციაში გატარდა 40 ათასზე მეტი ღარიბი ებრაელის ოჯახი. ასე დიდი იყო ღარიბ ებრაელთა ლტოლვა ნაყოფიერი შრომისაკენ.

თავიანთი არსებობის 6 წლის განმავლობაში—1924 წლიდან 1930 წლამდე—მშრომელ ებრაელთა მიწათმომწყობმა კომიტეტმა და მშრომელ ებრაელთა მიწათმომწყობმა საზოგადოებამ, ლენინური ნაციონალური პოლიტიკის განხორციელებით, საგრძნობ შედეგებს მიაღწიეს. ამ ხნის განმავლობაში ცალკე მოკავშირე რესპუბლიკების მთავრობებმა ებრაელების მიწათმოქმედებისათვის გამოჰყვეს 600.000 ჰექტარი მიწა—ბელორუსიაში, უკრაინაში, ყირიმში, ჩრდილოეთ-კავკასიაში, ა-კავკასიაში, უზბეკისტანში დასხვ. მიწათმომწყობი კომიტეტის განაწილების მიხედვით, გეგმიანი წესით გამოყოფილ მიწის ფონდებზე დასახლებულ იქნა დაახლოებით 20 000 ღარიბი ებრაელის ოჯახი. სხვა სიტყვით, 100 ათასამდე ღარიბი ებრაელი ჩაება სოციალისტურ მშენებლობაში სოფლის მეურნეობის ხაზით.

ახალი ებრაელი გლეხები შეუდგენ 300 ათასზე მეტი ჰექტარი ყამირის და მიტოვებული მიწების დამუშავებას. მარტო უკრაინასა და ყირიმში ახლად დასახლებულმა ებრაელებმა 1930 წლამდე სათეს ფართობს შეჰმატეს 120 ათასი ჰექტარი, რომელიც მანამდე არ მუშავდებოდა. ახლად დასახლებულთა მეურნეობის ტრაქტორიზაციამ ისეთ დონეს მიაღწია, რომ ყოველ 37 მეურნეობაზე ერთი ტრაქტორი მოდის. აღრიცხულ 10.000 მეურნეობაში, რომლებიც ახლად დასახლებულთა ყველა მეურნეობის ნახევარს შეადგენენ, 1929 წელს აკ-

რეფილ იქნა 416.500 ცენტნერი მარცვალი, აქედან დაახლოებით 200 ათასი ცენტნერი გადაეცა სახელმწიფო და კოოპერატიულ დამამზადებელ ორგანიზაციებს. 1930 წლის უკრაინის მარტო სამ ნაციონალურ ებრაულ რაიონში გეგმით უნდა დამზადდეს 500 ათასი ცენტნერი სხვადასხვა კულტურები.

ახლად დასახლებულ მშრომელ ებრაელთა მეურეობის სასაქონლო პროდუქციის ღირებულება ჯერ კიდევ 1930 წლის დასაწყისში შეადგენდა 2 მილიონ მანეთამდე. უკრაინის და ყირიმის მშრომელ ებრაელების მეურნეობათა 70-80 პროცენტი გაერთიანებულია კოლმეურნეობებში, ზოგიერთი რაიონი კი უკვე მთლიან კოლექტივიზაციას ანხორციელებს.

მშრომელ ებრაელთა მიწათმომწყობი საზოგადოება საქართველოში დაარსდა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ინიციატივით 1927 წლის დამლევს, როცა პარტიისა და საბჭოთა საქართველოს მთავრობის წინაშე მთელი სიმწვავით წარმოიჭრა უმთავრესად პატარა ქალაქებში თავმოყრილ რამდენიმე ათეული-ათასი დეკლასიური გალატაკებული ებრაელის ნაყოფიერ შრომაზე გადაყვანის აუცილებლობის საკითხი.

როგორია მშრომელ ებრაელთა მიწათმომწყობი კომიტეტის და მიწათმომწყობი საზოგადოების მუშაობის შედეგები საქართველოში ამ სამი წლის მანძილზე?

პარტიის, მთავრობის, კომკავშირული და პროფესიონალური ორგანიზაციების აქტიური დახმარებით, საქართველოს მშრომელ ებრაელთა მიწათმომწყობი საზოგადოება გიდაიქცა მძლავრ ორგანიზაციად, რომლშიაც 10.000 წევრია. ამათგან პარტიულები შეადგენენ 31 პროც., კომკავშირელები—13 პროც. თუ საქართველოს

მშრომელ ებრაელთა მიწათმომწყობი საზოგადოების არსებობის პირველ თვეებში საზოგადოების არაებრაელ-წევრებს თითზე ჩამოითვლიდით, ეხლა საქართველოს მ ე მ მ ს - ი ნამდვილი ინტერნაციონალური ორგანიზაციაა, სადაც არაებრაელები 34 პროც. შეადგენენ. საქართველოს მ ე მ მ ს-ს ისეთ პუნქტებშიაც კი აქვს თავისი განყოფილებები და უჯრედები, სადაც სრულიად არ არის ებრაელი მოსახლეობა.

ღარიბ ებრაელთა კოლმეურნეობები მოწობილია როგორც განსახლებულ ებრაელებისაგან (ახალციხე, ვანი, მუხრანი, სუჯუნა, საჩხერე, საგარეჯო, ქუთაისი, ონი), ისე სპეციალურად გამოყოფილ მიწის ფონდებზე (წითელი გორა—კახეთში, ტირიფონის ველი, ქობულეთი). სულ ებრაელთა კოლმეურნეობებში გაერთიანებულია 300 ოჯახი ან 1.500 კაცი.

ძნელი იყო ებრაელთა ნორჩი კოლმეურნეობებისათვის, პირველი ნაბიჯების გადადგმა, ძნელი იყო სამიწათმოქმედო შრომაზე გადასვლა იმ ადამიანებისათვის, რომლებიც ქალაქებში აღიზარდენ და არ იყვნენ შეჩვეული მძიმე ფიზიკურ შრომას. მაგრამ კოლმეურნეობანი თანდათან განმტკიცდენ, გაჩნდა ახალი ებრაელი—მიწათმომქმედი, კოლმეურნე-ებრაელი.

ბირობიჯანი.

მშრომელ ებრაელთა მიწათმომწყობი კომიტეტის და მიწათმომწყობი საზოგადოების ნაყოფიერმა მუშაობამ და საბჭოთა კავშირის ევროპიულ ნაწილში დახასახლებელი ფონდების სიმცირემ აუცილებელი გახადეს დიდი თავისუფალი ადგილის გამონახვა ებრაელთა დასასახლებ-

ლად. ასეთი ადგილი მოინახა შორეულ აღმოსავლეთში— ბ ი რ ო ბ ი ჯ ა ნ ი ს რ ა ი ო ნ ი.

საკავშირო ცაკის პრეზიდიუმის 1928 წლის 28 მარტის დადგენილებით ბირობიჯანის რაიონი გადაეცა მიწათმომწყობ კომიტეტს მშრომელი ებრაელების დასასახლებლად და, თუ შესაძლებელი იქნებოდა, ებრაელთა ავტონომიური ადმინისტრატიულ-ტერიტორიალური ერთეულის შესაქმნელად.

ბირობიჯანს უჭირავს 4 მილიონ ჰექტარზე ცოტა ნაკლები სივრცე. ამ ტერიტორიის მოსახლეობა დაახლოვებით შესდგება 38.000 კაცისაგან, ე. ი. ერთ კაცზე მოდის 1 კვადრატულ კილომეტრზე მეტი. ტერიტორიის ბუნებრივი პირობები, როგორც საბჭოთა და უცხოეთის სწავლულთა გამოკვლევებით დადასტურდა, ხელს უწყობენ მიწათმოქმედების და მრეწველობის (ხე-ტყე, მადანი და სხვ.) განვითარებას.

მშრომელ ებრაელთა მიწათმომწყობი კომიტეტის და მიწათმომწყობი საზოგადოების მუშაობის დღიდან სამი წლის განმავლობაში, მიუხედავად ამ რაიონის გამოყენების დიდი სიძნელეებისა, უკრაინიდან, ბოლორუსიიდან და რუსეთის ს.ფ.ს. რესპუბლიკიდან ბირობიჯანში გადასახლდა 3.000 ებრაელი. ახლად დასახლებული მშრომელი ებრაელები, რომლებიც სოფლის მეურნეობას მისდევენ გაერთიანებული არიან სამ მსხვილ კოლმეურნეობასა და ერთ კომუნაში. ამ ხნის განმავლობაში მათ დახნეს 4000 ჰექტარზე მეტი ყამირი, რომელიც საუკუნოების მანძილზე დაუმუშავებლად იყო. 1930 წ. დაითესა 2650 ჰექტარი. კოლმეურნეობებში ფართოდ ვითარდება მებოსტნეობა და მეფუტკრეობა; 1930 წელს კოლმეურნეობებს 1600 სკა ჰქონდათ. 1930 წ. მუშაობას შეუდგა 5 საბჭოთა მეურნეობა:

მარცვლეულის და სოიას საბჭოთა მეურნეობა—75.000 ჰექტარი (1930 წ. დაიხნა 12.000 ჰექტ.); ბრინჯის საბჭოთა მეურნეობა—1.500 ჰექტ., მერძეობის და მეგბოსტნეობის—15.000 ჰექტ. 2.000 ძროხით; მესაქონლეობის და მეფრინველეობის საბჭოთა მეურნეობა. მუშაობს 11 სამრეწველო არტელი, მათ შორის ავეჯეულობის, სატრანსპორტო, კირის, კუპრის გამომხდელი და სხვ. შენდება 3 აგურის და 1 კრამიტის ქარხანა. შენდება აგრეთვე ხის დამმუშავებელი ქარხანა. სპეციალურ კურსებზე მომზადდა 800 ტრაქტორისტი და მშენებელი ებრაელ ახალგაზრდობიდან. მოეწყო ებრაელთა სამი სოფლის საბჭო. მოქმედობს 4 სკოლა; საბავშო მოედნები, ბაგები. გაყვანილია ტელეფონის ქსელი ბირობიჯანის მთავარ პუნქტებში. მიწათმომწყობმა კომიტეტმა და მარცვლეულის ტრესტმა ბირობიჯანში გაგზავნა ასზე მეტი ტრაქტორი, სხვადასხვა რთული მანქანები და მოწყობილობა.

დაბების მახლობლად მოწყობილი კოლმეურნეობანი.

მთლიან ფონდებზე მშრომელ ებრაელთა დასახლებასთან ერთად, დაბებში მცხოვრებ ღარიბ ებრაელებს შორის სწრაფად იზრდებოდა ეგრედწოდებული განსახლება, ე. ი. ღარიბ ებრაელების ჩაბმა დაბების მახლობლად მოწყობილ კოლმეურნეობებში. არსებული ცნობებით, 1930 წელს ასეთ კოლმეურნეობებში გაერთიანებული იყო 25 ათასზე მეტი ებრაელის მეურნეობა: უკრაინაში—დაახლოებით 13 ათასი, ბელორუსიაში—10 ათასი, დასავლეთ ოლქში—1000 და სხ.

დაბანდებული სახსრები.

მშრომელ ებრაელთა მიწათმომწყობი კომიტეტის და მიწათმომწყობი საზოგადოების მუშაობის ექვსი წლის განმავლობაში ღარიბ ებრაელთა მიწათმოწყობისათვის სახელმწიფო ბიუჯეტის და სასოფ.-სამეურ. კრედიტის ხაზით გაღებულ იქნა 16 მილიონი მანეთი, აქედან სესხის სახით—დაახლოებით 10 მილიონი. ამავე ხნის განმავლობაში მშრომელ ებრაელთა მიწათმომწყობმა კომიტეტმა საგრძნობი სახსრები მიიღო უცხოეთის ებრაელთა ორგანიზაციებისაგან. ეს სახსრები, რომლებიც 20 მილიონ მანეთს აღემატება, მიღებულია გრძელვადიანი კრედიტის საფუძველზე და მეტწილად უცხოეთის ვალიუტის და ნაწილობრივ უცხოეთის მოწყობილობის სახით. უცხოეთის ეს ორგანიზაციები „აგროჯოინტი" (ჩრ.-ამერ. შეერთებული შტატები), ეკო (საფრანგეთი) და „ორტ ფარბანდ"-ი (გერმანია) მუშაობენ მშრომელ ებრაელთა მიწათმომწყობი კომიტეტის კონტროლის ქვეშ და ჩვენი მთავრობის შესაფერ ორგანოებთან დადებულ ხელშეკრულებათა საფუძველზე.

რას ამბობენ ბრიგადები.

მშრომელ ებრაელთა მასიური მონაწილეობა სოფლის მეურნეობაში უკვე ფაქტია. მუშების, გლეხების, წითელარმიელების, კომკავშირელების და პიონერების მრავალრიცხოვანი დელეგაციები, რომელებმაც ახლად დასახლებულ ებრაელების ფონდები გამოიკვლიეს, აგრეთვე უცხოეთის მშრომელთა სხვადასხვა დელეგაციები ცხადათ დარწმუნდენ იმ დიდ მიღწევებში, რომლებიც შედეგად მოჰყვა კომპარტიის და საბჭოთა ხელისუფლების ნაციონალურ პოლიტიკას ღარიბ ებრაელთა მასების მიმართ.

მოსკოვის მუშათა და წითელარმიელთა დელეგაციამ, რომელიც არჩეულ იქნა მსხვილ საწარმოთა და წითელი არმიის ნაწილების მრავალრიცხოვან კრებებზე, შემოიარა ბელორუსიის, უკრაინის და ყირიმის ებრაელთა სოფლები. ეს დელეგაცია თავის ანგარიშში სწერს: „ჩვენ დაწვრილებით გავეცანით მიწადმომქმედ ებრაელების ცხოვრებას. მათთან ერთად ვიყავით ყანებში მუშაობის დროს, ვიყავით მათ სახლებში. დავუკვირდით მათ ცხოვრებას, ვნახეთ, როგორ ამუშავებენ ისინი მიწას. დავრწმუნდით, რომ ებრაელი გლეხები ისევე მუშაობენ ყანაში, როგორც საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელი გლეხები. ჩვენ ვნახეთ, რომ ებრაელი გლეხები არ იყენებენ დაქირავებულ შრომას და თვითონ ასრულებენ ყველა სამუშაოს. ჩვენ ვნახეთ, რომ ებრაელი გლეხები ღებულობენ აგრონომების რჩევას და კულტურული წესით ამუშავებენ მიწას.. მეზობელ არაებრაელ გლეხებს მეგობრული განწყობილება აქვთ ებრაელ გლეხებთან“...

დნეპროპეტროვსკის ქარხნების მუშათა დელეგაციაც, ურალის, ხარკოვის, არტემოვსკის და მუშათა სხვა დელეგაციებიც, რომლებმაც დაათვალიერეს ახლად დასახლებულთა ფონდები, ერთსულოვნად აღნიშნავენ ებრაელ გლეხების მნიშვნელოვან მიღწევებს და დიდი კმაყოფილებით მიუთითებენ იმ მეგობრულ ურთიერთობაზე, რომელიც დამყარდა ებრაელებსა და მეზობლად მცხოვრებ არაებრაელ გლეხებს შორის.

ინტერნაციონალური შემჭიდროება ნაციონალურ რაიონებში.

საერთო სოციალისტური შრომა საბჭოთა მიწაზე, ლენინური ნაციონალური პოლიტიკის მეოხებით, ინტერ-

ნაციონალურად ამჭიდროებს მშრომელ ებრაელ და არა-ებრაელ გლეხებს. ამას განსაკუთრებით ცხადათ ვხედავთ მთლიან ფონდებზე დასახლებულ ებრაელთა ნაციონალურ-ადმინისტრატიულ რაიონებში: კალინინდორფის, ნოვოზლატოპოლსკის, სტალინდორფის (უკრაინა) და ფრაიდორფის (ყირიმი) ებრაელთა ადმინისტრატიული რაიონები, ებრაელების ახალშენთა და სოფლებს გარდა, აერთიანებენ მათ ტერიტორიაზე არსებულ უკრაინულ, გერმანულ და თათრულ სოფლებს.

ებრაელ მშრომელთა ჩაბმა მრეწველობაში.

1928 წლიდან მშრომელ ებრაელთა მიწათმომწყობი კომიტეტის ფუნქციები გაფართოვდა. მას დაეკისრა აგრეთვე მუშაობა ღარიბ ებრაელებისა და ებრაელ ახალგაზრდობის გეგმიანი ჩაბმისათვის მრეწველობაში. მშრომელ ებრაელთა მიწათმომწყობი კომიტეტის მუშაობამ ამ დარგშიაც მნიშვნელოვანი ნაყოფი გამოიღო. ათეულმა ათასმა ახალგაზრდა ებრაელმა დაამთავრა სხვადასხვა კურსები და ეხლა ისინი ჩვენს მსხვილ ქარხნებში და ახალ მშენებლობაზე მუშაობენ. ამ მუშაობის ფარგლებისა და ხასიათის შესახებ ერთგვარ წარმოდგენას გვაძლევენ შემდეგი ციფრები: 1930 წლის აგვისტომდე ცენტრალურმა და რესპუბლიკანურმა მიწათმომწყობმა კომიტეტმა 33.450 კაცი გაგზავნეს სხვადასხვა კურსებზე და სასწავლებლებში: 10.400—შრომის ცენტრალური ინსტიტუტის კურსებზე, 7.300—საბრიგადო სწავლების კურსებზე, 10.250—სამრეწველო და სატრანსპორტო სასწავლებლებში, 4.500—სეზონურ სამუშაოზე და 1000—სხვადასხვა კურსებზე. 1931 წ. თებერვალში საფაბრიკო-საქარ-

ხნო სასწავლებლებში და სხვადასხვა კურსებზე გაიგზავნა 6.550 კაცი.

1930 წლიდან ამ მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობს მშრომელ ებრაელთა მიწათმომწყობი საზოგადოებაც, რომელიც ყოველნაირად ეხმარება მშრომელ ებრაელთა მიწათმომწყობ კომიტეტს მთელ რიგ უაღრესად მნიშვნელოვან ღონისძიებათა განხორციელებაში.

უკანასკნელ წლებში საქართველოს ღარიბი ებრაელებიც მასიურად ებმებიან მრეწველობაში: ახალგაზრდა მშრომელი ებრაელები მუშაობენ როგორც ფაბრიკა-ქარხნებში, ისე შინამრეწველობის არტელებში. ამ მიმართულებით დიდ მუშაობას ეწეოდა და ეწევა საქართველოს ღარიბ ებრაელთა დამხმარე კომიტეტი, რომელიც საქართველოს მშრომელ ებრაელთა მიწათმომწყობმა საზოგადოებამ—მ ე მ მ ს-მა მოაწყო.

მ ე მ მ ს-ი მშრომელთა ინტერნაციონალური ორგანიზაციაა.

მ ე მ მ ს-ი მასიური ნებაყოფლობითი ორგანიზაციაა. ამ ორგანიზაციაში შედიან ყველა მშრომელები განურჩევლად ეროვნებისა, რომელთაც სურთ დაეხმარონ საბჭოთა ხელისუფლებას მისი ნაციონალური პოლიტიკის განხორციელებაში და ხელი შეუწყონ ებრაელი მასების სოციალური სტრუქტურის გაჯანსაღებას და ღარიბი მშრომელი ებრაელების ჩაბმას სოციალისტურ მშენებლობაში.

მ ე მ მ ს-ი, როგორც მშრომელთა მასიური ინტერნაციონალური ორგანიზაცია, სხვა საბჭოთა მასიური საზოგადოებრივი ორგანიზაციების მსგავსად, მშრომელთა ფართო მასებს აკავშირებს პარტიასთან და საბჭოთა ხე-

ლისუფლებასთან, ხელს უწყობს ლენინური ნაციონალური პოლიტიკის და სოციალისტური მშენებლობის საერთო და განსაკუთრებული ამოცანებ ისგანხორციელებას მშრომელ ებრაელთა მასების საკეთილდღეოდ; ხელს უწყობს მასების ინტერნაციონალურ აღზრდას და ებრძვის ანტისემიტიზმს, ებრაელთა შოვინიზმს და კლერიკალიზმს.

მ ე მ მ ს-ი ხელს უწყობს მუშა-ხელის მომზადებას და განაწილებას სოციალისტური მეურნეობის მთავარ და უფრო მნიშვნელოვან დარგებში, აქტიურად ეხმარება მშრომელ ებრაელთა მიწათმომწყობ კომიტეტს და შრომის ორგანოებს ღარიბ და ახალგაზრდა ებრაელების ჩასაბმელად ისეთ სამრეწველო საწარმოებში, რომლებიც დაშორებულია მათ საცხოვრებელ ადგილს, ხელს უწყობს პარტიულ, კომკავშირულ და პროფესიონალურ ორგანიზაციებს კულტურული და პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის გასაჩაღებლად მრეწველობაში ახლად ჩაბმულ ებრაელ მუშებს შორის.

11.577

მ ე მ მ ს-ი მთელი თავისი ორგანიზაციული და კულტურულ-მასიური მუშაობით ხელს უწყობს ებრაელ გლეხების მეურნეობათა მთლიანი კოლექტივიზაციის განხორციელებას, კულაკობის, როგორც კლასის ლიკვიდაციას მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე, კოლმეურნეობათა გადასვლას კოლექტივიზაციის უფრო მაღალ ფორმებზე, სოციალისტური ყოფა-ცხოვრების განვითარებას, გადამწყვეტ ბრძოლას კულაკურ და ვაჭრულ ელემენტებთან ახლად დასახლებულ ებრაელთა შორის, მშრომელ ებრაელთა მასების ანტირელიგიურ და ინტერნაციონალურ აღზრდას.

მ ე მ მ ს-ი, როგორც საბჭოთა მასიური საზოგადოებრივი ორგანიზაცია მთელ თავის მუშაობას აწარმოებს

პარტიის გენერალური ხაზის საფუძველზე და მისი ხელმძღვანელობით, თავის ამოცანებს უკავშირებს საბჭოთა კავშირის პროლეტარული და მშრომელი მასების წინაშე დასახულ მთავარ ამოცანას—ხუთწლიანი გეგმის ოთხ წელში შესრულებას და სოციალისტური ეკონომიკის საძირკველის დამთავრების ამოცანას, სოცშეჯიბრებას, დამკვრელობას, შემხვედრ გეგმებს და სხ., ხელს უწყობს ბრძოლას ინტერვენციის საფრთხესთან და საბჭოთა კავშირის თავდაცვის უნარის განმტკიცებას, აქტიურ მონაწილეობას ღებულობს მასიურ სამეურნეო-პოლიტიკური კამპანიების ჩატარებაში და სხ.

მ ე მ მ ს-ის წევრთა რიცხვი 1930 წლის დამლევისათვის 300.000 აღემატებოდა, რომელებიც გაერთიანებული არიან 5.000 უჯრედით ფაბრიკა-ქარხნებში, წითელი არმიის და წითელი ფლოტის ნაწილებში, დაწესებულებებში, კოლმეურნეობებში და სხ. მემმს-ის წევრთა შორის მუშები შეადგენენ 31%, არაებრაელები — 45%. ცალკე მოკავშირე რესპუბლიკებში მემმს-ის ორგანიზაციების შემადგენლობა ასეთია: უკრაინაში 300 განყოფილება აერთიანებდა დაახლოებით 200.000 წევრს, რომელთა შორის მუშები შეადგენდენ 35%, არაებრაელები 41,1%; ბელორუსიაში მემმს-ის წევრთა საერთო რიცხვმა მიაღწია 47.000, მათ შორის მუშები—37,2%, არაებრაელები—29%; რუსეთის ს.ფ.ს. რესპუბლიკაში 37 განყოფილება ართიანებდა 73.000 წევრს, მათ შორის მუშები შეადგენენ — 23%, არაებრაელები — 51,7%. მემმს-ის ორგანიზაციები არსებობენ აგრეთვე უზბეკისტანში (4.000 წევ.), საქართველოში, დაღესტანში და აზერბაიჯანში (10.000 წევრზე მეტი).

მემმს-ი სცემს ჟურნალ „ტრიბუნა“-ს, რომელიც აშუქებს ახალ სოციალისტურ საფუძველზე მშრომელ ებრაელთა ცხოვრების გარდაქმნის საკითხებს. გარდა ამისა მემმს-მა გამოსცა 80 პოპულიარული წიგნაკი მის ამოცანებთან და მუშაობასთან დაკავშირებულ საკითხებზე, ასეთი წიგნაკები 700 ათასი ცალი გავრცელდა.

მემმს-მა მოაწყო ორი ლატარია (პირველი 1 მილიონი ბილეთით და მეორე—ორი მილიონი ბილეთით), რომლებიც დიდი წარმატებით ჩატარდა. მემმს-ის ლატარიის ბილეთები ფართოდ გავრცელდა ფაბრიკა-ქარხნებში, კოლმეურნეობებში და სოფლებში, ორივე ლატარიამ, ბილეთების გასაღების დროს და აგიტაციის და მასიური მუშაობის გაჩაღებით, სახსრებს გარდა, რამდენიმე ათასი ახალი წევრი შესძინა მემმს-ს. 1931 წლის დასაწყისში მემმს-ი შეუდგა მესამე ლატარიის 6 მილიონი ბილეთის გასაღებას.

1928-29 წლის ზამთარში საკ. ა.ლ.კ.კ. ცენტრალურმა კომიტეტმა ჩაატარა ერთთვიური—„კომკავშირი ეხმარება მემმს-ს“. ამ კამპანიამ მემმს-ის რიგებში ჩააბა ათეული ათასი კომკავშირელი (მემმს-ში პარტიის წევრები შეადგენენ 10%, კომკავშირელები 12%). მთელმა რიგმა პარტიულმა კომიტეტებმა—მოსკოვის, ჩრდილოეთ-კავკასიის, ხარკოვის, ნიჟნი-ნოვგოროდის და სხვ. პარტიულმა კომიტეტებმა და პროფკავშირების (მშენებელთა, მკერავთა, ტრანსპორტის, სახკვების, ხელოვნების, კომუნალური მეურნეობის, კავშირგაბმულობის და გემო-კვების მუშათა, მეტყავეთა და მბეჭდავთა პროფკავშირების) ცენტრალურმა კომიტეტებმა მიუთითეს თავიანთ ორგანიზაციებს აქტიურად შეუწყონ ხელი მემმს-ს მისი ამოცანების გან-

ხორციელებაში. ბევრ სკოლაში და პიონერთა კლუბებში მოწყობილია „მემმს-ის მეგობართა“ უჯრედები.

მემმს-ი მუშაობას აწარმოებს ყველა ახლად დასახლებულ ებრაელთა შორის და, თავისი ფინანსიური შესაძლებლობის მიხედვით, ეხმარება განათლების სახალხო კომისარიატს და ჯანსახკომს გაშალონ კულტურულ - სამკურნალო ქსელი ებრაელი მოსახლეობის რაიონებში და დააკმაყოფილონ მათი კულტურული და საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებანი.

რაც უფრო მეტი სახსრები ექნება მემმს-ს, მით უფრო მეტად და უკეთ დააკმაყოფილებს იგი ახალ ადგილებში დასახლებულ ებრაელთა საჭიროებას.

მემმს-ის ცენტრალური საბჭო დაკავშირებულია უცხოეთის მშრომელთა მთელ რიგ ორგანიზაციებთან, რომელებიც ხელს უწყობენ მშრომელ ებრაელთა მიწათმოწყობას საბჭოთა კავშირში. ასეთი ორგანიზაციები არსებობენ: ჩრ.-ამერ. შეერთებულ შტატებსა და კანადაში—„იკორ“-ი, სამხრეთ ამერიკაში—„პროკორ“-ი, სამხრეთ აფრიკაში—„ხელის შეწყობის ფონდი“, ლატვიაში, დანიაში, შვეიციაში, გერმანიაში, ინგლისში და ავსტრალიაში. ეს ორგანიზაციები, რომლებიც ამერიკის, აფრიკის, ავსტრალიის და დასავლეთ ევროპის მრავალ ათეულ ათას მშრომელს აერთიანებენ, დიდ მუშაობას ეწევიან კაპიტალისტურ ქვეყნებში საბჭოთა ხელისუფლების ნაციონალური პოლიტიკის პოპულიარიზაციისათვის კონკრეტული მაგალითით—ღარიბ ებრაელთა ნაყოფიერ შრომაზე გადაყვანის მაგალითით. ეს ორგანიზაციები მატერიალურ დახმარებასაც უწევენ საბჭოთა კავშირში მზრომელ ებრაელთა მიწათმოწყობის საქმეს: მათ მემმს-ის ცენტრალურ საბჭოს ნახევარ მილიონ მანეთზე მეტი გადასცეს.

მემმს-ის ყოველმა წევრმა, საწევრო გადასახადის თავის დროზე შეტანასთან და მემმს-ის ლიტერატურის გავრცელებასთან ერთად, აქტიური სააგიტაციო მუშაობა უნდა გასწიოს მემმს-ის სასარგებლოდ ფაბრიკაში, დაწესებულებაში, სკოლაში, საბინაო ამხანაგობაში, კლუბებში და სხ. მან გადამწყვეტი წინააღმდეგობა უნდა გაუწიოს კონტრრევოლიუციონერების, ანტისემიტების და ებრაელ შოვინისტების აგიტაციას, რომელებიც ცდილობენ სახელი გაუტეხონ საბჭოთა ხელისუფლების ნაციონალურ პოლიტიკის. იგი უნდა დაეხმაროს მშრომელ ებრაელთა მიწათმომწყობ კომიტეტს და საბჭოთა ხელისუფლების ყველა სხვა ორგანოებს ღარიბ ებრაელების გადაყვანაში ნაყოფიერ შრომაზე, უნდა შეებრძოლოს ყველა იმათ, ვინც ცდილობს შოვინიზმის და ნაციონალიზმის ელემენტების შეტანას მემმს-ის საქმეში, ყველას უნდა განუმარტოს მემმს-ის ინტერნაციონალური ხასიათი.

მემმს-ის ყოველი წევრი უნდა ცდილობდეს მოაწყოს მემმს-ის უჯრედი იქ, სადაც ის ჯერ კიდევ არ არსებობს და აქტიურ მონაწილეობას უნდა ღებულობდეს მემმს-ის იმ უჯრედის მუშაობაში, რომელზედაც მიმაგრებულია იგი.

მემმს-ის ყოველმა წევრმა მონაწილეობა უნდა მიიღოს ყველა იმ ღონისძიებათა განხორციელებაში, რომლებიც მიმართულია სოციალიზმის აშენებისაკენ საბჭოთა კავშირში და უნდა ახსოვდეს, რომ მემმს-ის საქმე ჩვენი სოციალისტური მშენებლობის ერთ-ერთ დარგს წარმოადგენს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მემმს-ის წევრი უნდა იყოს დამკვრელი ფაბრიკა-ქარხანაში, საბჭოთა მეურნეობაში, კოლმეურნეობაში, დაწესებულებაში.

მემმს-ის ყოველი წევრის მოვალეობას შეადგენს განამტკიცოს ყველა ეროვნების მშრომელთა ინტერნაციონალური სოლიდარობა და კავშირი.

პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
K 7.544/2